ხელშეკრულება N23

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი 21 მარტი 2022 წ.

ერთის მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო-საგანმანთლებლო სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრი მისი დირექტორის ქეთინო გელაშვილის სახით (შემდგომში ''შემსყიდველი'') და მეორეს მხრივ შპს „სტამბა" მისი დირექტორის გიორგი ღურბელაშვილის (შემდგომში „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი ფილიალებისთვის სააღმზრდელო-საგნმანათლებლო მიმართულებით კურუკუმუმის და პარაქტიკული სახელმძღვანელოს ბეჭდვა

კურუკულუმი	25 ცალი	30 ლარი	750 ლარი
პრაქტიკული სახელმძღვანელო	25 ცალი	20 ლარი	500 ლარი

CPV79800000-1250 ლარი

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანაგრიშსწორება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1250** (ათასორასორმოცდაათი) ლარს

2.2 ანგარიშსწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში

2.3 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდოა და იწარმოება საბოლოოდ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10(ათი)სამუშაო დღისა

3.ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

3.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 აპრილის ჩათვლით

4.მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს დამკვეთს საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხარისხიანი საქონელი,

4.3 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით

5 მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მიმწოდებლისგან პირგასამტეხლო საქონლის ღირებულების 0,3%-ის ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის საქონლის მიწოდების ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის მომენტიდან.

5.2 მყიდველის მიერ გადასახდელი თანხის დაგვიანების შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს მყიდველისგან პირგასამტეხლო საქონლის ღირებულების 0,3%-ის ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

6. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და შეწყვეტა

6.1 ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა დამატებითი, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ცალმხრივად შეტანილი ცვლილება ან დამატება ბათილია შეტანის მომენტიდან.

6.2 ყველა დამატებითი შეთანხმება ან სხვა რაიმე საბუთი, რაც მხარეთა მიერ მიღებულ იქნება ამ ხელშეკრულების მოქმედებასთან ან ხელშეკრულების ტექსტიდან გამომდინარე, წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6.3 მხარეთა შორის ყველა დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის საკითხს განიხილავს სასამართლო.

6.4 შესაძლებელია ურთიერთშეთანხმებით ხელშეკრულებაში ცვლილება დამატების სახით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7. საგარანტიო ვადა

7.1 იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდება რომ მიმწოდებლის მიერ არ არის სრულყოფილად შესრულებული მომსახურება ან/და შეცვლილი ნაწილი აღმოჩნდა წუნდებული, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოჩენილი ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით

7.2 იმ შემთხვევაში თუ საქონელი არ ექვემდებარება შეკეთებას, იგი უნდა შეიცვალოს ახლით

8. გაწეული მომსახურების ან/და შესყიდვის ობიექტის ხარისხი

8.1 გაწეული მომსახურების ან/და შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნუკურ ნორმებს. მიმწოდებელი ვალდებულია, რომ გაწეული მომსახურების ხარისხმა ან /და შესყიდვის ობიქტის დააკმაყოფილოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობები

9. ფორს-მაჟორი

9.1. თუ ვალდებულების შესრულება ფერხდება ან შეუძლებელია ერთ-ერთი მხარისათვის დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო (ხანძარი, წყალდიდობა, ომი, საომარი მოქმედებები, სახელმწიფო აქტი და ა.შ.), მხარეები დროებით, ამგვარი გარემოებების ლიკვიდაციამდე თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან. დაუძლეველი ძალის დადგომის ფაქტი უნდა დაფიქსირდეს წერილობით.

10. დასკვნითი დებულებები

10.1 ამ ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების ყველა პუნქტი და პირობა, გაგებულია მათ მიერ სწორად და ეთანხმებიან მათ.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად ყოველი მხარისათვის ცალ-ცალკე. ორივე ეგზემპლიარს გააჩნია ერთნაირი იურიდიული ძალა.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 აპრილის ჩათვლით

11. მხარეთა რეკვიზიტები

მყიდველი	გამყიდველი
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი	შპს „სტამბა“
დაბა სტეფანწმინდა	მის: ქ თბილისი ქსნის N12
ს/კ 241499552	ს/კ **400126207**
სახელმწიფო ხაზინა	ა/ნ GE22TB7184036080100004
დირექტორი ქეთინო გელაშვილი	გიორგი ღურბელაშვილი

The Centre of the Preschool Educational the Kazbegi Municipality

Digitally signed by The Centre of the Preschool Educational the Kazbegi Municipality
Date: 2022.03.21 16:37:04 +04'00'